ბხსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებითა და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი

სასწავლო ფართითა და ტექნიკით სარგებლობა

- უნივერსიტეტის პერსონალს, სტუდენტსა და მსმენელს უფლება აქვთ თანაბრად ისარგებლონ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით.
- უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ვალდებულია შესაბამისი პირობები შეუქმნას უნივერსიტეტის პერსონალს, სტუდენტებსა და მსმენელებს სამსახურებრივი მოვალეობების სრულყოფილად და სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის წარმატებით განხორციელებისათვის.
- უნივერსიტეტს გააჩნია პერსონალისა და სტუდენტების რაოდენობის შესაბამისი სამსახურებრივი და სასწავლო ფართი, რომელსაც ადმინისტრაცია ანაწილებს რაციონალურად.
- უნივერსიტეტი უზრუნველყოფს კომპიუტერული ტექნიკის გამართულ მდგომარეობაში ყოფნას, საუნივერსიტეტო კომუნიკაციების ხელმისაწვდომობას პერსონალისა და სტუდენტისათვის, რისთვისაც ანაწილებს შესაბამის რესურსებს თითოეული თანამშრომლისთვის.

საბიბლიოთეკო და ინტერნეტრესურსებით სარგებლობა

- ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ინტერნეტრესურსების ხელმისაწვდომობას უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტებისთვის.
- უნივერსიტეტის ადმინისტრაცია პერიოდულად ახდენს საბიბლიოთეკო ფონდის განახლებას საგანმანათლებლო საჭიროებებიდან გამომდინარე.
- უნივერსიტეტის პერსონალსა და სტუდენტებს უფლება აქვთ შეუფერხებლად ისარგებლონ საბიბლიოთეკო რესურსებით უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულებით დადგენილი წესით.
- უნივერსიტეტის პერსონალსა და სტუდენტებს უფლება აქვთ მიიღონ მათთვის საჭირო ინფორმაცია ბიბლიოთეკიდან შესაბამისი ფორმით: ადგილზე მომსახურებით, სააბონენტო მომსახურებით, მიიღონ სხვადასხვა მასალის ასლები, რისთვისაც ადმინისტრაცია უზრუნველყოფს შესაბამისი აპარატურის ამოქმედებასა და შეღავათიან პირობებს.

➢ ბხსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკის დებულება http://batu.edu.ge/text_files/ge_file_62_1.pdf და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი http://batu.edu.ge/text_files/ge_file_62_3.pdf.

- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ემსახურება უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პერსონალს.
- ბიბლიოთეკით სარგებლობისათვის აუცილებელია ბიბლიოთეკაში რეგისტრაციის გავლა. სარეგისტრაციოდ მკითხველმა უნდა წარმოადგინოს პირადობის მოწმობა.
- ბიბლიოთეკაში აბონემენტით მომსახურებით დაინტერესებულმა პირმა სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი

და ერთი ფოტოსურათი ზომით 3 x 4. მომხმარებელი ვალდებულია რეგისტრაციის დროს ბიბლიოთეკას მიაწოდოს მონაცემები ქალაქის, ბინის მისამართის, ტელეფონის ნომრის შესახებ.

- მკითხველი ვალდებულია ბიბლიოთეკას აცნობოს საკონტაქტო ინფორმაციის შემცველი მონაცემების შეცვლის შესახებ.
- რეგისტრაციისას ბიბლიოთეკის მომხმარებელი ასევე ვალდებულია გაეცნოს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს, რასაც ადასტურებს მომხმარებლის ბარათზე ხელმოწერით.

- საბიბლიოთეკო რესურსებს შეადგენს წიგნსაცავი, საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო და კომპიუტერული დარბაზები, საბიბლიოთეკო კოლექციები (სხვადასხვა ენაზე გამოცემული წიგნადი და არაწიგნადი ფონდი: სახელმძღვანელოები, სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურა, პერიოდული გამოცემები, საცნობარო გამოცემები, ელექტრონული რესურსები და ა.შ) ელექტრონული ბიბლიოთეკა, ელექტრონული სამეცნიერო ბაზები.

- ბიბლიოთეკას გააჩნია საკუთარი ვებგვერდი, რომლის მეშვეობითაც სახლიდან გაუსვლელად დაინტერესებულ პირს შეუძლია მოიძიოს ბიბლიოთეკის კატალოგში აღწერილი ბიბლიოთეკის მთლიანი ფონდი (OPEN BIBLIO) და მყარი დისკების აღწერილობა.
- აბონემენტით მომსახურებისას 1 მკითხველზე დროის ერთ პერიოდში გაიცემა არაუმეტეს 5 საბიბლიოთეკო ერთეულისა.
- მკითხველი ვალდებულია გატანილი წიგნი დროულად დააბრუნოს ბიბლიოთეკაში. იმ შემთხვევაში თუ წიგნის გატანის ერთი 7 დღიანი ვადა არ არის საკმარისი, მკითხველს შეუძლია მოითხოვოს ვადის გაგრძელება (ვადის გაგრძელება შესაძლებელია წიგნზე ხშირი მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაში).

ბიბლიოთეკის მისამართია: ქ. ბათუმი ზ.გორგილაძის/ვაჟა-შაველას ქ. №19/32, პირველი სართული, ოთახი №109 (სამკითხველო დარბაზი).

- **ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი**

ბიბლიოთეკა მუშაობს შემდეგი განრიგით:

ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10.00 საათიდან - 18.00 საათამდე

შაბათი 10.00 საათიდან - 16.00 საათამდე

კვირა - დასვენების დღე